ხელშეკრულება N4

თბილისი 7 ივნისი 2013 წელი

ერთი მხრივ, შპს "ალია ჰოლდინგი" (შემდგომში „შემსრულებელი") წარმოდგენილი მისი, სარეკლამო სამსახურის უფროსი [redacted] სახით ტელ: [redacted]

მეორეს მხრივ, შსს სსიპ "112", წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ბიჭაშვილის სახით (შემდგომში „დამკვეთად" წოდებული)
ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. **ხელშეკრულების საგანი**

წინამდებარე ხელშეკრულებით „დამკვეთი" უკვეთავს, ხოლო „შემსრულებელი" კისრულობს ვალდებულებას საიტზე განათავსოს დამკვეთისგან მიწოდებული ბანერები, პრესრელიზები და ანონსები.

მუხლი 2. **მხარეთა მოვალეობანი**

2.1. **„დამკვეთი" ვალდებულია:**
2.1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესისა და პირობების შესაბამისად განახორციელოს ანგარიშსწორება „შემსრულებელთან";
2.1.2. არ განახორციელოს ქმედება, რაც ხელს შეუშლის „შემსრულებელს" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში;

2.2 **„შემსრულებელი" ვალდებულია:**
2.2.1. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა. საიტზე განათავსოს დამკვეთის მიერ მიწოდებული ბანერები, პრესრელიზები და ანონსები.

მუხლი 3. **თანხა და ანგარიშსწორების პირობები**

3.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
3.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, „დამკვეთის" მიერ თვეში უზრუნველყოფისთვის გადასახდელი თანხა შეადგენს 630 **(ექვსასა ოცდაათი)** ლარს.
3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 4200 (ოთხი ათას ორასი) ლარს.
3.4. ანგარიშწორება მხარეებს შორის ხდება ყოველთვიურად, ან ერთიანად (წლიური) ინვოისის წარდგენიდან ხუთი კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. **მხარეთა პასუხისმგებლობა**

4.1 „შემსრულებელი" პასუხისმგებელია მის მიერ ნაკისრი მომსახურეობის ხარისხსა და სრულყოფილებაზე.
4.2. "დამკვეთი" ვალდებულია ექსკლუზიურ მასალებზე დაიცვას შემსრულებლის უფლებები და გამოყენებისას მიუთითოს შესაბამისი წყარო.
4.3. დაუშვებელია მეორე მხარის მიერ მიწოდებული მასალების გადაცემა მესამე მხარისთვის ან მისი გამოყენება კომერციული მიზნებისთვის.
4.4. ინფორმაციის საკუთარი გამოყენებისას "დამკვეთი" ვალდებულია მიუთითოს ინფორმაციის წყარო. ხოლო ინტერნეტში განთავსებისას უზრუნველროს შესაბამისი ბმულის განთავსება.

მუხლი 5. **პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება**

5.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუ კი ეს გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალის გარემოებათა გამო;
5.2 დაუძლეველი ძალის გარემოებათა ერთი თვეზე მეტი ხნით არსებობისას მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ მეორე მხარეს.

მუხლი 6. **დავის გადაწყვეტა**

[redacted]

6.1. მხარეები სადავო საკითხებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
6.2. თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული დავის წამოჭრიდან 20 (ოცი) დღის ვადაში დავა მხარეთა შორის გადაწყდებება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

მუხლი 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

7.1. ხელშეკრულება ძალაშია 2013 წლის 7 ივნისს და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;
7.2. ხელშეკრულების გაუქმება შესაძლებელია:
ა) მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით;
ბ) როდესაც ერთ-ერთი მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან ზიანს აყენებს მეორე მხარეს. ამ შემთხვევაში მეორე მხარეს უფლება აქვს ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება და ამის თაობაზე შეატყობინოს მეორე მხარეს.
7.3 ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე მხარეთა მიერ მისი მოქმედების შეწყვეტის თაობაზე ურთიერთშეუტყობინებლობის შემთხვევაში, მისი მოქმედება გრძელდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებითა და ვადის ოდენობით.

მუხლი 8. დამატებითი დებულებები

8.1. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შევიდეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით;
8.2. ხელშეკრულებაში ცალმხრივად შეტანილი ცვლილებები და დამატებები ბათილია შეტანის მომენტიდან;
8.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ყველა აუცილებელი შეტყობინება დაკავშირებული წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალიწინებული პირობების შესრულებასთან გაგზავნილი იქნება ფაქსით, ელ.ფოსტით ან დაზღვეული ბარათით, წინასწარ მითითებულ მისამართებზე;
8.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად. თითო-თითო ეგზემპლიარი გადაეცემათ მხარეებს.
მისამართის ან მომსახურე ბანკის რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულები არიან, შვიდი დღის განმავლობაში შეატყობინონ ერთმანეთს ამის შესახებ.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
შსს სსიპ - „112“	**შპს "ალია ჰოლდინგი"**
ს.კ 204579429	საბანკო რეკვიზიტები: სს "თიბისი ბანკის"
მის: ქ. თბილისი, გ. გულუას N10	ა/ნ GE49TB0600000360800003
ს.ს. „ლიბერთი ბანკი“ ტ/ფ	ს/კ 211359457
ა/ა GE21LB0121158544185008	მისამართი: თბილისი, აკადემქალაქი I კვ. მე-4 კორპ. I სართ. ალექსიძის ქ. №1

დირექტორი

გიორგი ბიჭაშვილი

ხელქალამი ხელმოსახურის უფროსი

[redacted]